1. იტალიელი პოეტი-რომანტიკოსი, გრაფი, ჯაკომო.... გვარი კი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ერთი მტაცებლის დასახელებას.
2. აფრიკული სავანების ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი არსება.
3. ჩვენი განედების წყვილჩლიქოსანი.
4. ორსახელიანი აფრიკელი გიგანტი.
5. დედამიწის ყველაზე შეუბრალებელი მტაცებლის ამერიკული სახესხვაობა.
6. ცხოველთა სამყაროს საუკეთესო „მოსწავლე“



7. ვირთხებთან ღამეული ურთიერთობით გაწამებული არსება.
8. კაიფვორდისტი იტყოდა - ორი გუთანის მფლობელი არსებაო.



9. დედამიწის ყველაზე გრძელი არსება.
10. არსება, რომელიც ერთ ფილმში დაუპირისპირდა ენტონი ჰოპკინსს და ალეკ ბოლდუინს (იხილეთ ფოტოც).
11. დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასბეწვიანი ქმნილება.



12. მაიმუნის სახესხვაობა, რომელიც აფრიკის ერთ განსაზღვრულ იზოლირებულ რეგიონში ბინადრობს (იხილეთ ფოტოც).
13. დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე და მშვენიერი მტაცებელი.
14. ზემოხსენებული „მრისხანე და მშვენიერი მტაცებლის“ შინაური ვარიანტი.
15. დედამიწის ყველაზე შეუბრალებელი მტაცებლის კიდევ ერთი სახეობა (იხილეთ ფოტოც).
16. დინოზავრი, რომლის სიარულითაც დედამიწა ზანზარებდა და ეს მისი სახელიდანაც ჩანს.
17. „ტალიკ-ტალიკ“ ბიჭების დამშინებელი „მტაცებელი“.
18. „კუს“ სახელიანი არქიპელაგი (იხილეთ ფოტოც).
19. ადგილი, სადაც ჩვენებური „თეთრი მელა“ გამოიყვანეს.
20. აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ნაკრძალი.
21. ჩვენი მთების ბინადარი.
22. არსება, რომელიც მთელი ზამთრის განმავლობაში ეწირება ქართველთა ჭამა-სმის მადას.

# იუმორი ყველასთვის

რადიოში ხშირად ისმოდა:

—თბილისის დროით თხუთმეტი საათია. ვიმეორებთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი მხარის წარმომადგენელთათვის: საათის დიდი ისარი თორმეტთანაა, ხოლო პატარა სამთან.

გაბრაზდნენ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი მხარის წარმომადგენლები და იყიდეს ელექტრონული საათები.



ერთხელ ერთმა „წარმომადგენელმა“ ჰკითხა მეორეს:

— რომელი საათია?

— თორმეტი გავყოთ თხუთმეტზე! - უპასუხა მეორემ.

* * *

ერთხელ მთიელი შვილთან ერთად სანადიროდ წავიდნენ. ხედავენ მელამ გაირბინა ... ბახ! ბახ ბახ!

— ესეც ბეწვი!

ცოტა გაიარეს, ხედავენ ჯიხვმა გაირბინა... ბახ! ბახ! ბახ!

— ესეც ხორცი!

ცოტაც გაიარეს და ალპინისტი დაინახეს ... ბახ! ბახ! ბახ!

— ესეც მარილი!

* * *

საპატიმროს სასადილოს კარზე წერია - „დღეს სადილი გაიცემა სამხრეთის ჭიშკართან“. ყველა მირბის სამხრეთის ჭიშკართან, სადაც წერია - „დღეს სადილი გაიცემა ჩრდილოეთ ჭიშკართან“. ყველა მირბის ჩრდილოეთ ჭიშკართან, სადაც წერია - „ტერიტორიაზე აქეთ-იქით სირბილისათვის სადილი არ იქნება.

* * *

აფთიაქში სამი მუნჯი დგას; ორი მათგანი აქტიური ჟესტიკულაციით ესაუბრება ერთმანეთს, მესამე კი განზე განზე დგას და „დუმს“

— შენ რატომ არაფერს ამბობ? — ჰკითხეს „დადუმებულს“.

— ხელები მტკივა... და წამლისათვის მოვედი აქ....

— რამ აგატკია?

— წუხელ დავთვერი და მთელი ღამე ვმღეროდი.

* * *

მიმდინარეობს შემოწმება გონებადაქვეითებულთ სკოლაში. ბიჭს ეკითხებიან:

— რა გქვია შვილო?

— ალ ვიცი...

— ვინ გინდა გამოხვიდე?

— ალ ვიცი...

გოგონას ეკითხებიან:

— შენ რა გქვია, გოგონა?

— ალ ვიცი...

— ვინ გინდა გამოხვიდე?

— ალ ვიცი...

სკოლის დირექტორს საყვედური გამოუცხადეს და აღუთქვეს, რომ მალე ისევ დაბრუნდებიან და ისევ შეამოწმებენ.

ერთი წლის შემდეგ კომისია ისევ მივიდა იმავე სკოლაში.

— რა გქვია, ბიჭუნა?

— მიტო.

— ვინ გინდა გამოხვიდე?

— ბიზნესმენი

— შენ რა გქვია გოგონა?

— მაყვალა!

— ვინ გინდა გამოხვიდე?

— ტოპ-მოდელი!

კომისიამ დირექტორი შეაქო და ჰკითხეს მას:

— როგორ მოახერხეთ ასეთი განსაცვიფრებელი შედეგის მიღწევა?!

— ალ ვიცი...






## ისტორიული ექსკურსი

ლუიზიანას ტერიტორიები უძველესი დროიდან ერთ-ერთი ყველაზე დასახლებული იყო, სადაც მაღალი კულტურული განვითარების მქონე ტომები ცხოვრობდნენ. საყურადღებო ისაა, რომ აქ მოსახლე აბორიგენები პრაქტიკულად ერთადერთნი იყვნენ მთელ სამხრეთ რეგიონში, სადაც სოფლის მეურნეობით ირჩენდენ თავს.

## ევროპელი პირველაღმომჩენები

ლუიზიანაში პირველი ევროპელები ჯერ კიდევ 1539 წელს გამოჩნდნენ, როცა ესპანელი არმანდო დე სოტოს ექსპედიცია მისისიპის ნაპირებს მიუყვებოდა ჩრდილოეთი მიმართულებით. თუმცა მაშინ ესპანელებს დიდი ყურადღება არ გამოუჩენიათ ამ ადგილების მიმართ და თითქმის 150 წლის განმავლობაში ადგილობრივი მიწათმოქმედნი აღარავის შეუწუხებია. 1682 წლიდან კი ფრანგების ინტერესთა სფეროში მოექცა მისისიპის ნაპირები და მათ მყარად მოიკიდეს აქ ფეხი და სახელიც შესაბამისად ფრანგული უწოდეს საკუთარი მეფის საპატივცემლოდ.

1701-14 წლებში ლუიზიანას მიმართ დამპყ-




რობლური ზრახვები ინგლისელებმაც გამოამჟღავნეს, მათ არც ესპანელები ჩამორჩნენ და ფრანგებს დიდი ბრძოლების გადახდა მოუხდათ მონაპოვარის შესანარჩუნებლად.

XVIII საუკუნის 40-იან წლებში ამ რეგიონში მასობრივად დაიწყო აფრიკელი მონების ჩასახლება. ამ დროს დაახლოებით 400 000 ზანგი გამოჩნდა ლუიზიანაში, რამაც გარკვეულწილად განსაზღვრა ის, რომ მონების შთამომავლებად წოდებულმა ადამიანებმა თავისუფლების მოპოვება მოისურვეს და დაიწყეს ხანგრძლივი ბრძოლა საამისოდ, რაც XIX საუკუნემდე გაგრძელდა.

XVII საუკუნის 60-იან წლებში ფრანგებმა ფაქტიურად დათმეს პოზიციები ლუიზიანაში და მთელ რეგიონის რეალური მმართველები ესპანელები გახდნენ. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე აშშ-ს ახლადშექმნილმა სახელმწიფომ, ე.წ. „ველურ დასავლეთთან" ერთად, სათანადო ყურადღება არ დაუთმო სამხრეთის ტერიტორიების ათვისებას. საფრანგეთს კი, ესპანელების მომძლავრების და ზანგი მონების აჯანყებათა ფონზე, სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ლუიზიანა და მისი მიმდებარე რეგიონები აშშ-სთვის მიეყიდა. ეს გარიგება 1803 წელს შედგა, სადაც ლუიზიანა 15 მილიონი დოლარის საფასურად გაიყიდა.

# ლუიზიანა

**ლუიზიანა** (Louisiana) - მდებარეობს აშშ-ს სამხრეთ ნაწილში, მექსიკის ყურის სანაპიროზე. ლუიზიანა ზოგადად ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთ უძველეს დასახლებულ რეგიონად ითვლება.

ფრანგების ხანგრძლივი მმართველობის შემდეგ ლუიზიანა 1803 წელს შეისყიდა აშშ-მ, **1812 წლის 30 აპრილს** კი ახლად შექმნილი სახელმწიფოს რიგით **მე-18** შტატად გამოცხადდა.

* * *

ლუიზიანას სხვაგვარად „ყარყატების შტატს", „კრეოლების შტატს" და „შაქრის შტატსაც" უწოდებენ. მთელ რეგიონს კი სახელი ეწოდა ფრანგი კოლონიზატორების მიერ მეფე ლუდოვიკო XIV-ის საპატიცემლოდ.

* * *

შტატის მთელი ტერიტორია მდინარე მისისიპის სანაპიროებზე გაშლილ ველებზეა განლაგებული. ბევრ ადგილას მისი ზედაპირის დონე ზღვის დონეზე დაბალიც კი არის, სადაც თითქმის 5 მეტრის სიმაღლის ჯებირების და დამბების მთელი ქსელია აგებული. ლუიზიანას ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი მდინარეები და ტბები მთლიანად მისისიპის აუზშია განლაგებული, ეს უკანასკნელი კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მდინარედ ითვლება.

შტატის შიდა რეგიონებისოფლის მეურნეობის სავარგულებითაა ცნობილი.

ლუიზიანა ბუნებრივი გაზის, ნავთობის, მარილის და გოგირდის უმსხვილესი მწარმოებელია. ეს შტატი ამარაგებს აშშ-ს ოპოსუმის, ონდატრის და ენოტის ბეწვეულითაც.

ღირსშესანიშნაობათაგან ტურისტებს იზიდავს ნიუ ორლეანის ფრანგული კვარტალი, სანაპირო ზოლის ლაგუნები და ტბები, ჟან ლაფაიეტის ეროვნული პარკი.




**ლუიზიანა** (lōō-ē'zē-ăn'ə

**ფართობი** - 128,593 კვ.კმ. (49650 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით 31-ე შტატი.
**მაქსიმალური სიგრძე** - 440 კმ
**მაქსიმალური სიგანე** - 480 კმ
**მოსახლეობა** - 4 210 000 (1996 წ).
**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 33 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე
**ადმ. ცენტრი** - ბატონ-რუჟი

**ნიუ ორლეანი** (ახალი ორლეანი) - ქალაქი და სამდინარო პორტი მისისიპიზე. დაარსებულია ჟან ბატისტ ლემუანის მიერ 1718 წელს. 1812 წლიდან მდინარე მისისისპის ერთ-ერთ უმთავრეს ნავსადგურად ითვლება. ნიუ ორლეანი მთელ მსოფლიოში იმითაა ცნობილი, რომ ჯაზის სამშობლოდაა მიჩნეული. ამ ქალაქში დიდი ლუი არმსტრონგი დაიბადა. ქალაქი გემთმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი ცენტრია, მის ეკონომიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ტურიზმიც.






**დროშა** - *ცისფერ ფონზე გამოსახულია შტატის ღერბი დევიზით*



**ღერბი** - *წარწერით* ***State of louisiana Uinion Justice Confidence***



**ფრინველი** - *ყავისფერი ყარყატი* ***(Brown Pelican)***



**ყვავილი** - *მაგნოლია* ***(Magnolia)***



**ხე** - *კიპარისი* ***(Bald Cypress).***

**დევიზი** - *ინგლ.* ***Union, justice and confidence***
(ერთობა, სამართლიანობა და რწმენა)

* ლუიზიანა 64 ოლქადაა დაყოფილი.

* ეს შტატი აშშ-ში 21-ე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

* ლუიზიანა ევროპელთა გამოჩენის დღიდან ფრანგული კულტურისა და ენის ზეგავლენას განიცდიდა, თუმცა არც ესპანელების და გერმანელების ნაკლებობა იგრძნობოდა. მათს შთამომავლებს ახლა კრეოლებად და კაიუნებად მოიხსენიებენ.

* ლუიზიანაში 67,3% მოსახლეობისა თეთრკანიანები არიან. შავკანიანებს ეკუთვნით 30,8%, აზიიდან და ოკეანეთიდან გამოსულნი - 1,0%, აბორიგენი ამერიკელები - 0,4 %.

* მოსახლეობის 68 პროცენტი ძირითადად მექსიკის ყურის სიახლოვეს განლაგებულ ქალაქებში ცხოვრობს.

* უდიდესი ქალაქებია: ნიუ ორლეანი (500 000, გარეუბნებით 1 250 000), ბატონ-რუჟი (220 000), შრივპორტი (200 000), მეტერი (150 000), ლაფაიეტი (100 000), ლეიკ ჩარლზი (71 000), მონრო (555 000), ბოსიე სიტი (55 000).

# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №49




**ბრუკ შილდსი** - დაიბადა 1965 წლის 31 მაისს.

* * *

როცა ადამიანი პოპულარული ხდება, მის მიმართ უმალ იწყებენ ყურადღების გამოჩენას მასობრივი ინფორმაციების საშუალებანი, მათი პირადი ცხოვრება კი მილიონობით თაყვანისმცემლისათვის ხდება ცნობილი, რაც არაიშვიათად ჭორებითაა შეზავებული... ამიტომაც თავად ვარსკვლევები გაურბიან პრესასთან ურთიერთობას, თუმცა არც იმაზე არიან თანახმანი, რომ მათს შესახებ არავინ არაფერი თქვას.

არც ბრუკ შილდსია ამ მხრივ გამონაკლისი ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი ხშირად აბაიბურებს კიდეც მის ცხოვრებაში ხელის მოფათურე ადამიანებს. ასე მაგალითად: 2000 წლის ივლისში მან და მისმა საქმრომ კრის ჰენჩმა ქორწინების ამბავი საჯაროდ განაცხადეს, ერთი წლის მოგვიანებით კი შილდსმა ამ რიტუალის ამსახველი სურათები ხალისით გადასცა მსოფლიოს რამდენიმე წამყვან გამოცემას. კრის ჰენჩი მან ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას გაიცნო (ეს კაცი ტელევიზიაში მუშაობს და სცენარებს წერს სერიალებისათვის, ზოგჯერ კი პროდიუსერობასაც ეწევა). ასე და ამგვარად, მსოფლიო შილდსის მორიგ ქორწინებაზე ალაპარაკდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ სურათებზე, რომელიც მან პრესას გადასცა, მანეკენები იყვნენ გამოსახულნი, რეალური შეუღლება კი შედარებით მოგვიანებით და სულ სხვა ადგილსა და გარემოში მოხდა. ეს ყველაფერი მსახიობმა შეგნებულად მოიმოქმედა, რათა პაპარაცების შეტევისაგან თავი დაეცვა. ყოველივე ეს კი სავსებით გასაგებია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბრუკ შილდსი ძალზედ ადრეულ ასაკში გახდა პოპულარული და ახლა, როცა მას 37 წელი შეუსრულდა, ძალზედ მობეზრდა მას ეს ზედმეტი ყურადღება...

* * *

კრისტა ბრუკ კამილ შილდსი დაიბადა ნიუიორკში, მაისის ბოლო დღეს. მისი ბავშვობა, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უცნაურად წარიმართა. დედამისმა, მსახიობმა და მოდელმა ტერი შილდსმა - ერთობ ძლიერი ნებისყოფის მქონე და ძალაუფლების მოყვარულმა ქალმა - შვილის შეძენისთანავე გადაწყვიტა, რომ იგი აუცილებლად ვარსკვლავი უნდა გამხდარიყო.

11 წლის ასაკში პატარა კრისტა ბრუკი დედასთან ერთად პირველად გამოჩნდა პოდიუმზე და მონაწილეობა მიიღო სარეკლამო რგოლში. მას შემდეგ იგი სისტემატურად იყო რეკლამირებადი საქონლის თანმხლები გოგონა.

12 წელი რომ შუსრულდა, დედამ მოუხერხა ის, რომ სწორედ ბრუკი დაამტკიცის მთავარ როლზე ფილმში „მშვენიერი ბავშვი“. მიზანდასახულ დედას სულაც არ აღელვებდა ის ფაქტი, რომ მისი ნორჩი ნაშიერი პუბლიკის წინაშე მეძავის როლით წარდგებოდა. ამ სახის შექმნამ უზარმაზარი წარმატება მოუტანა პატარა მსახიობს და იგი 70-იანი წლების ამერიკის სექს-სიმბოლოდაც კი აღიარეს. თუმცა პარალელურად იმგვარი მოვლენები ვითარდებოდა, რამაც საკმაოდ უსიამოვნო კვალი დააჩნია გოგონას ფსიქიკას. მამამისი და ოჯახის ფსიქიატრი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, რომ მომავალ ვარსკვლავ მსგავს ფილმებში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ დედას არაფრის გაგონება არ სურდა და უმოკლეს დროში შეძლო ის, რომ მისგან ნამდვილი ვარსკვლავი შექმნა, თუმცა ფსიქიატრის წინასწარმეტყველებაც ასრულდა და უკვე ყმაწვილქალად ჩამოყალიბებული მსახიობი რეგულარუად მიმართავდა დახმარებისათვის ამ სფეროს მკურნალებს.

დედაც ვერ ასცდა ფსიქიურ სტრესს, რასაც ზედ მისი მიდრეკილებაც დაერთო ლოთობისადმი, თუმცა მისთვის მთავარი მაინც ქალიშვილის გარეგნობაზე ზრუნვა იყო; იგი გამუდმებით ადევნებდა თვალს შვილის საქციელს, მოურიდებლად ერეოდა მის პირად ცხოვრებაში და მეგობრებთან ურთიერთობასაც აკონტროლებდა. მრისხანე დედიკომ ესეც არ აკმარა „ბედნიერ ვარსკვლავს“ და სახალხოდ განაცხადა, რომ მისი შვილის ქალწულობა დაზღვეულია და, მიუხედავად თავქარიანი ცხოვრებისა, მას არანაირი კავშირი არ აქვს მამაკაცებთან.

* * *

ამასობაში კი ბრუკის წარმატებული კარიერა აღმასვლით მიდიოდა, რის დასტურიც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ფილმი „ცისფერი ლაგუნა“ გახლავთ (1980 წ). შესაძლოა, ამ ფილმის პოპულარობა მისი სიუჟეტით იყო განპირობებული, რაც ლამაზი სიყვარულის სევდიანი დასასრულის ამბავს მოუთხრობდა მაყურებელს. ასეა თუ ისე, ფილმი წარდგენილ იქნა „ოსკარის“ და „ცისფერი გლობუსის“ ნომინაციებზე. ერთი წლის შემდეგ კი ბრუკ შილდსი თავად ფრანკო ძეფირელიმ მიიწვიწ „უსასრულო სიყვარულში“ გადასაღებად და ასე და ამრიგად ბრუკ შილდსი „80-იანი წლების“ სახედ იქნა აღიარებული.... მისმა სახემ ყველაზე პრესტიჟული ჟურნალების გარეკანები დაამშვენა.



* * *

1883 წელს ბრუკ შილდსმა პრინსტონის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა, თუმცა პარალელურად კინოსა და ტელევიზიაში განაგრძობდა გადაღებებს. ტირანი დედის ხელში მას ცხოვრება ნამდვილ წამებად ექცა და თითქმის დაკარგა კიდეც ხალისი ცხოვრებისადმი. ამასობაში კი ქალწულობადაკონსერვებულ მსახიობს 25 წელი შეუსრულდა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლება ეჭვით დაუწყეს მას მზერა - ხომ არ იმალეობაო რაიმე „ფერი“ ამგვარი კონსერვატიზმის მიღმა?

...თუმცა დედამისს ეს არ აღელვებდა და შვილს მხოლოდდამხოლოდ მონაკოს პრინც ალბერტისთვის ან იაპონიის პრინც ჰირო ნარუჰიტოსთვის იმეტებდა.

...მაგრამ უფლისწულებზე ოცნებას ახდენა არ ეწერა, სამაგიეროდ იმხანად ბრუკთან სიახლოვის სურვილი „ჩოგბურთის მეფემ“ ანდრე აგასიმ გამოხატა და რომანის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ მიჯნურებმა ნიშნობის ცერემონიალის დღე დათქვეს... კიდევ ორი წლის შემდეგ კი, 1997 წლის აპრილში, იქორწინეს კიდეც.

...პირველი ქორწინების დღისათვის მზეთუნახავი ბრუკი უკვე ოცდათორმეტი წლის ქალი იყო.

* * *

ბევრს ეს ქორწინება თავიდანვე უცნაურად მოეჩვენა. ყველა იმას აღნიშნავდა, რომ ახლადდაქორწინებულთა ირგვლივ არ იყო ის აურა სიყვარულისა, რაც აუცილებლად სდევს ხოლმე თავს ერთმანეთის ნატრულ წყვილს. ითქვა ისიც, რომ ბრუკი და ანდრე უფრო და-ძმას ჰგავდნენ, ვიდრე მოყვარულ ცოლქმარს, ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ქორწინებიდან მცირე ხნის შემდეგ ბრუკ შილდსმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა - ანდრე აგასი სულაც არ არისო ჩემი გემოვნების შესაფერისი მამაკაცი.

* * *

90-იანი წლების მეორე ნახევარში ბრუკ შილდსს არცთუ ისე კარგად მისდიოდა შემოქმედებითი საქმიანობა. გათხოვების შემდეგ მას გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ზედმეტ წონასთან და პუბლიკის წინაშე მხოლოდ დიდი საჩოგბურთო ტურნირების ჩატარებისას ჩნდებოდა, თუმცა იქვე სახალხოდ აცხადებდა, რომ ჭირის დღესავით სძულს ჩოგბურთი და ნატრობს სამი შვილის ყოლაზე, ანდრე კი მემკვიდრის ყოლას მხოლოდ საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ აპირებდა...

ქორწინების შემდეგ ანდრე აგასისაც წაუხდა სპორტული მიღწევები, ბრუკს კი მოულოდნელად გაუმართლა, როცა ერთ ცნობილ ტელესერიალში მიიწვიეს და მაყურებლის წინაშე სრულიად ახალი სახით წარდგა, რითაც საკუთარი სამსახიობო ნიჭი საბოლოოდ დაამტკიცა.

ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაფუჭების ერთ-ერთი მიზეზი დღის წესრიგიც იყო. ბრუკი ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული ადრე დაწოლას და დილის შვიდის ნახევარზე უკვე გადასაღებ მოედანზე გამოცხადებას, ანდრე კი, პირიქით, „ღამურას“ ცხოვრებას ეწოდა და ისინი პრაქტიკულად ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ასეა თუ ისე, ეს უცნაური შეუღლება დაირღვა. შილდსი განქორწინებას საკმაოდ მშვიდად შეხვდა მით უმეტეს, რომ მის კარიერაში „თეთრი ზოლი“ გაიჭიმა და მას სულ უფრო ხშირად იწვევდნენ დიდბიუჯეტიან გადაღებებზე, თანაც ძირითადად მთავარი როლების სათამაშოდ. ერთ-ერთი ასეთი ფილმი იყო კომედია „ უცოლო კაცი“, სადაც ნამდვილად არ იგრძნობოდა ვარსკვლავთა ნაკლებობა, თუნდაც მერაია ქერის თაოსნობით.

იმავე წელს გამოვიდა ჯეიმზ ტობაკის ფილმი „შავი და თეთრი“, სადაც დიდხანს ეძებდნენ მთავარი როლის შემსრულებელ ქალს და სულ ბოლო წამს აღმოჩნდა, რომ შილდსის გარდა ამას სხვა ვერავინ გააკეთებდა. რეჟისორმა კი გადაღებების დასრულებისას განაცხადა: „მე მომხიბლა მისმა გონიერებამ. იგი დიდებულად თამაშობდა!“

ეს კი თავად ბრუკ შილდსის სიტყვებია:

**„მე ისეთი როლი უნდა მეთამაშა, რაც აბსოლუტურად არ ჰგავდა იმას, რაც ადრე მქონდა გაკეთებული. როლზე მუშაობამ დამარწმუნა, რომ სამსახიობო ხელოვნებას მხოლოდ ახლა ვეუფლები, რომ ბოლოსდაბოლოს დავიწყე საკუთარი თავის, როგორც მსახიობის რეალიზება, რომ ახლა მაყურებელიც თანახმაა მაღიაროს როგორც მსახიობი და არა როგორც მანეკენი... ამიტომაც ახლა ვამაყობ საკუთარი კარიერით“.**

ამით თითქმის დავასრულეთ ჩვენი რუბრიკა, რომელიც 1999 წლის შემოდგომაზე დავიწყეთ, თითქმის, რადგან 50-ე გამოშვება მიეძღვნება მერილინ მონროს.

ეს, ალბათ, იქნება სპეციალური გამოცემა და დასასრული დასაწყისით...

# მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები პროფესიონალ მოკრივეთა შორის

## ჰასიმ რაჰმანი 2001 წ.-დან



2001 წლის 21 აპრილს მოხდა სენსაცია. მსოფლიოს ჩემპიონი მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის WBC, IBF და IBO-ის ვერსიით გახდა ჰასიმ რაჰმანი. მან თავად ლენოქს ლუისი დაამარცხა.

* * *

ახალი ჩემპიონი აშშ-ს შტატ მერილენდის ქალაქ ბალტიმორში, შავკანიანთა ოჯახში 1972 წელს დაიბადა.

ჰასიმ რაჰმანმა კრივში ვარჯიში მხოლოდ 20 წლის ასაკში დაიწყო., მაგრამ სულ რაღაც 10 სერიოზული მატჩის შემდეგ, რომლებიც სამოყვარულო რინგზე ჩაატარა, მან პროფესიონალთა შორის დაიწყო გამოსვლა. ეს 1994 წელს მოხდა. რაჰმანმა პროფესიონალებშიც წარმატებით განარძო თავისი დაუმარცხებელი სერია და ზედიზედ გამარჯვებათა რიცხვი 28-მდე მიიყვანა.

* * *

მისი პირველი სერიოზული მოწინააღმდეგე, რომელიც პროფესიული კრივის ელიტაში შედიოდა, იყო ახალზელანდიელი დევიდ ტუა, რომელიც IBF-ის ვერსიაში პირველ ნომრად ითვლეოდა. ეს მატჩის 1998 წლის 19 დეკემბერს გაიმართა. მთელი ორთაბრძოლის მანძილზე ჰასიმ რაჰმანი დომინირებდა რინგზე, მაგრამ მე-9 რაუნდში, გონგის შემდეგ, დევიდ ტუამ უძლიერესი იერიში განახორციელა, რამაც რაჰმანი მწყობრიდან გამოიყვანა და მე-10 რაუნდში მატჩი დროზე ადრე შეწყდა, თუმცა სპეციალისტები თვლიან, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება.

ამ მარცხის შემდეგ ჰასიმ რაჰმანმა ორი იოლი მატჩი მოიგო ნოკაუტით, მაგრამ მას 1999 წლის 6 ნოემბერს საშინელი იმედგაცრუება ელოდა. ამ დღეს (საკუთარი დაბადების დღეს კვირაძალზე) ატლანტიკ-სიტიში ჰასიმ რაჰმანი რუს გიგანტ ოლეგ მაკეევს შეხვდა. ამ ბრძოლის მერვე რაუნდში რაჰმანმა საშინელი დარტყმა მიიღო, რამაც მისი სხეული რინგის ფარგლებს მიღმა მოისროლა, თან გაიყოლა რა ერთ-ერთი კომენტატორის მონიტორი. რაჰმანს რამოდენიმე წუთი დასჭირდა საიმისოდ, რომ გონს მოსულიყო და რინგზე ასულიყო, რათა მოწინააღმდეგისათვის გამარჯვება მიელოცა. სხვათა შორის, მოგვიანებით მაკეევის დარტყმას „წლის საუკეთესო დარტყმაც“ კი უწოდეს.

* * *

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთხსენებულმა დამარცხებამ არ გატეხა იგი, როგორც მებრძოლი. შემდგომი წლის განმავლობაში მან ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა,რამაც უფლება მისცა ლენოქს ლუისთან მატჩის გამართვის პრეტენდენტი გამხდარიყო. თუმცა მისი შანსები ამ სატიტულო მატჩში განიხილებოდა 1:20-თან, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა, რადგან კრივის ისტორიას უარესი შეფარდებებიც ახსოვს, თუნდაც ისეთი, როგორიც იყო ლეონ სპინქსის და მუჰამედ ალის ან ჯეიმზ დუგლასის და მაიკ ტაისონის შეხვედრების წინ.არადა, ხსენებულ ორთაბრძოლებში სწორედ ნაკლები შანსის მქონე სპორტსმენებმა გაიმარჯვეს და საკუთარი სახელი მსოფლიო კრივის ისტორიაში სამუდამოდ ჩაწერეს.

ბევრ მოკრივეს როდი ხვდომია კარიერაში წილად იმის განცდა, რაც სატიტულო მატჩის ჩატარებაა მსოფლიო ჩემპიონობის დონეზე და თუ ამის შანსი ეძლევა ვინმეს, უკან არავინ იხევა. ასე მოიქცა ჰასიმ რაჰმანიც.

* * *

ორთაბრძოლა სამხრეთაფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში გაიმართა.

პირველი ოთხი რაუნდი ლუისის უპირატესობით წარიმართა. იგი საკუთარი სიმაღლის და გრძელი ხელების წყალობით სჯაბნიდა რაჰმანს. მაგრამ მეხუთე რაუნდში პრეტენდენტმა საშინელი ძალის, შეიძლება ითქვას სრულიად მოულოდნელი, დარტყმით რინგზე დასცა ჩემპიონი და თავად ავიდა პროფესიული კრივის სამეფო ტახტზე.

* * *

ამ მატჩის შემდეგ პროფესიული კრივის სპეციალისტებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს ლაპარაკი რაჰმანისა და მაიკ ტაისონის შეხვედრის შესახებ, რასაც ყველა მოუთმენლად ელის.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

*ჩვენ კი ვამთავრებთ რუბრიკას უძლიერეს პროფესიონალ მოკრივეთა შესახებ, რაც თითქმის ორი წელიწადია გრძელდება „ფანტაზიის“ ფურცლებზე და იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ დიდი მასალის გამოცემას მოვახერხებთ ერთი კრებულის სახით, სადაც უფრო მეტი და საინტერესო სტატისტიკური თუ ფოტომასალა იქნება წარმოდგენილი.*

*სპორტის თემას კი შემდეგი ნომრიდანვე განვაგრძობთ და მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელების შესახებ ვისაუბრებთ.*

# 1907 წელი

**14 იანვარი** - მოწისძვრა იამაიკაში, სადაც ყველაზე მეტად დაარალდა ქალაქი კინგსტონი (დაიღპა 1000-მდე ადამიანი)

**19 თებერვალი** - ომი ცენტრალურ ამერიკაში ჰონდურასს, ნიკარაგუას და სალვადორს შორის.

**5 მარტი** - რუმინეთის არმია სისხლში ახშობს მოლდავეთში მიმდინარე შეიარაღებულ აჯანყებას.

**29 მარტი** - აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის გამო მოხდა საშინელი კატასტროფა, დაშავდა და დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი.

**8 აპრილი** - დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი სცნობენ სიამის (თანამედროვე ტაილანდის) დამოუკიდებლობას.

**30 აპრილი** - დიდი ბრიტანეთის მეფე ედვარდ VII ვიზიტით ჩადის იტალიასა და ვატიკანში.

**16 მაისი** - კარტახენაში ესპანეთი და საფრანგეთი იღებენ პაქტს ბალეარისა და კანარის კუნძულებზე გერმანელთა მმართველობის შეზღუდვის შესახებ.

**14 ივნისი** - ნორვეგიაში ქალებს ეძლევათ საარჩევნო ხმის უფლება.

**15 ივნისი** - ჰააგაში მუშაობას იწყებს უდიდეს სახელმწიფოთა მსოფლიო კონფერენცია, რომლის იდეა 1904 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რუზველტმა წამოჭრა.

**16 ივნისი** - რუსეთში რეაქციული ძალები აიძულებენ მეფე ნიკოლოზ II-ს მეორე სახელმწიფო დუმის დათხოვნას.

**19 ივლისი** - კორეის იმპერატორი ტახტიდან გადაგა.

**28 ივლისი** - საშინელი ხანძარი ნიუ-იორკში.

**30 ივლისი** - ფილიპინებში ტარდება პირველი საყოველთაო არჩევნები.

**3 აგვისტო** - რუსეთის მეფე და გერმანიის კაიზერი იწყებენ მოლაპარაკებას ბაღდადისაკენ რკინიგზის გაყვანის თაობაზე.

**21 სექტემბერი** - გერმანიის მფლობელობაში არსებულ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში სისხლში ახშობენ აჯანყებას.

**26 სექტემბერი** - დიდი ბრიტანეთის მონარქის განკარგულებით ახალ ზელანდიას ენიჭება დომინიონის სტატუსი.

**14 ნოემბერი** - რუსეთში მუშაობას იწყებს III სახელმწიფო დუმა.

**16 ნოემბერი** - აშშ ამტკიცებს ოკლაჰომას, როგორც 46-ე შტატს.

**7 დეკემბერი** - დიდი აჯანყების დაწყება ეგვიპტეში მუსტაფა კამილის ხელმძღვანელობით.

**8 დეკემბერი** - შვედეთს ახალი მეფე ჰყავს - ოსკარ II-ს ცვლის გუსტავ V (იმეფა 1950 წლამდე).

**11 დეკემბერი** - ხანძრის შედეგად ახალი ზელანდიის ქალაქ ველინგტონში ნადგურდება პარლამენტის შენობა.

### საზოგადოება, განათლება, რელიგია.

- რუსეთში შიმშილით იღუპება მილიონობით ადამიანი.

- ინდოეთში შავი ჭირისაგან 1,5 მილიონი ადამიანი იღუპება.

- ინგლისში რობერტ ბადენ-პაუერი აფუძნებს ბოისკაუტების მოძრაობას

### მეცნიერება, ტექნიკა, აღმოჩენები.

- აშშ-ში ლეო ბაკელენდის მიერ იქმნება პირველი სინთეტური პოლიმერი.

- ივანე პავლოვი რუსეთში აქვეყნებს შრომას - „პირობითი რეფლექსები“.

### ჰუმანიტარული მეცნიერებანი

- იწყება ინგლისური ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემა (დასრულდა 1927 წელს)

### ხელოვნება.

### ფერწერა

ლუვრში შემოდგომის სალონზე იწყება პოლ სეზანის ნამუშევრების გამოფენა.

- *ანრი მატისი.* შიშველი ცისფერი ქალი. ფუფუნება, სიმშვიდა და განცხრომა. მოგონებები ბისკრაზე.

- *ედუარდ მუნკი.* ამური და ფსიქეა.

- *პაბლო პიკასო.* ავინიონელი გოგონები.

- *ანრი რუსო.* გველების მომთვინიერებელი.

### ქანდაკება

*კონსტანტინე ბრანკუზი.* კოცნა.

- *პაბლო პიკასო.* ფიგურა.

### მუსიკა

- ლონდონში იწყება მიუზიკ-ჰოლების მსახიობების და მუსიკოსების გაფიცვა.

- *იან სიბელიუსი.* სიმფონია № 3.

- *გუსტავ მალერი.* სიმფონია № 8 („ათასი მონაწილის სიმფონია“).

- *ლეო ფალი.* დოლარების პრინცესა (ოპერეტა).

### ლიტერატურა

- *ჯოზეფ კონრადი.* „საიდუმლო აგენტი“.

- *მაქსიმ გორკი.* „დედა“.

- *რაინერ მარია რილკე.* ახალი ლექსები.

- *ე.მ. ფორსტერი.* „ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობა“.

### დრამა

- *ავგუსტ სტრინდბერგი* „ჯადოსნური სონატა“. ფანტასტიური პიესა.

- *დ.მ. სინგი.* „დასავლელი ფრანტი“.

### კინემატოგრაფია

„20 000 ლიე“ წყალქვეშ“ - რეჟისორი ჟორჟ მელიესი).

### ყოფაცხოვრება

- ფირმა „ჰარლეი მაშინ კომპანი“ აშშ-ში იწყებს პირველი ელექტრონული სარეცხი მანქანების გაყიდვას.

- დიდ ბრიტანეთში იწყებენ გიგანტური საზღვაო ლაინერების წარმოებას. პირველი ორი მათგანი, სახელებით „ლუზიტანია“ და „მავრიტანია“, იწყებენ ცურვას.

- გერმანიაში გამოგენებულ იქნა სარეცხი ფხვნილი „პერსილი“.

### რადიომაუწყებლობა

- აშშ-ში კომპანია „დე ფორსტ რეიდიო ტელეფონ“ ქმნის ყველაზე მძლავრ სამაუწყებლო სისტემას.

### სპორტი

- ბილიარდის თამაშში ოკლაჰომელი ტომ რისი ამყარებს რეკორდს, აგროვებს რა 499 135 ქულას. იგი განუწყვეტლივ თამაშობდა 85 საათისა და 49 წუთის განმავლობაში.

- ფრანგი არნო მასი ხდება პირველი უცხოელი, რომელიც გოლფისტების დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატში იმარჯვებს.

- ინგლისში, ბრუკლენდში, ლორდ ნორტკლიფის მამულში იხსნება მსოფლიოში პირველი წრიული ტრასა ავტორბოლისათვის.

12 მაისი.
დაიბადა კეტრინ ჰეპბერნი.
22 მაისი.
დაიბადა ლოურენს ოლივიე.
20 ივნისი
დაიბადა ლილიან ჰელმანი.
28 ნოემბერი.
დაიბადა ალბერტო მორავია.

# უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

**დედანი** - 1) თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც აკეთებენ ასლს. 2) გუთნის ნაწილი, რომელზედაც ფრთაა დაყრდნობილი.

**დედას ლევანა** (ნამდვილი გვარი ლევან ასაბაშვილი) - სახალხო მომღერალი, ქართლ-კახური სასიმღერო შემოქმედების უბადლო მცოდნე და შემსრულებელი (XIX-XX სს).

**დედაფუტკარა** - ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა ოჯახისა, ჭინჭრისდედას ჰგავს.

**დედაქალაქი** - სახელმწიფოს მთავარი ქალაქი.

**დედაქანი** - ნიადაგმცოდნეობაში ქანის ზედაპირული ფენა, რომელზეც ბიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების, აგრეთვე ადამიანის ჩარევით, წარმოიქმნება ნიადაგი.

**დედაშენი** - შენი დედა.

**დედაშვილობა** - დედა-შვილის ურთიერთობა.

**დედაჩემი** - ჩემი დედა.

**დედაჩვენი** - ჩვენი დედა.

**დედაციხე** - მთავარი ციხის აღმნიშვნელი ზოგადი ქართული ტერმინი.

**დედაძარღვი** - ძირითადი, მთავარი აზრი, საფუძველი.

**დედაწულიანად** - ცოლშვილიანად.

**დედე გორგუდის** წიგნი (ოღუზთა ტომის ენაზე - „პაპაჩემის ქორქუთის წიგნი“) - ოღუზი ტომების საგმირო ეპოსი. ერთიანი სიუჟეტი არ გააჩნია. შედგება შესავლისა და 12 სიმღერისაგან.

**დედეკინდი** რიხარდ იულიუს ვილჰელმ - გერმანელი მათემატიკოსი (XIX-XX სს).

**დედენევო** - დაბა (რუსეთის) მოსკოვის ოლქში.

**დედერონი** - ყოფ. გდრ-ში გამოშვებული პოლიამიდური ბოჭკოს სავაჭრო სახელწოდება.

**დედეული** - დედის ნათესავები.

**დედვეიტი** - ტვირთის მთელი მასა, რის მიღებაც შეუძლია ხომალდს.

**დედიაკოვი** - შუა საუკუნეების ალანთა ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში (XIII-XVI სს).

**დედიკო, დედილო** - დედა - მოფერებით.

**დედინა** ვაცლავ - ჩეხი გეოგრაფი (XIX-XX სს).

**დედინაცვალი** - მამის ცოლი წინანდელ ცოლთან შეძენილი შვილების მიმართ.

**დე დიონი** ალბერ - საავტომობილო წარმოების პიონერი (XIX-XX სს).

**დედისერთა** - დედ-მამის ერთადერთი შვილი.

**დედისიმედი** - 1) XVI საუკუნის II ნახევრის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე ქალბატონი, ქაიხოსრო II-ის მეუღლე, თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ მოძრაობის ხელმძღვანელი. 2) პერსონაჟი კ.გამსახურდიას რომანისა „დავით აღმაშენებელი“.

**დედისეული** - დედის ნაქონი.

**დედისფერული** - სოფელი ახმეტის რაიონში.

**დედიშობილა** - შიშველად.

**დე დიუვი** კრისტიან რენე - ბელგიელი ბიოქიმიკოსი (XX საუკუნე).

**დედიუშკო** ვლადიმირ - ბელორუსი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი (XX საუკუნე).

**დედლობა** - დედლის თვისება.

**დედმამიშვილები** - ერთი დედ-მამის შვილები, ერთმანეთის დაძმები.

**დედობა** - დედად ყოფნა, დედის მოვალეობის შესრულება.

**დედობილი** - დედის მაგიერი.

**დედობრივი** - დედის დამახასიათებელი.

**დედოვსკი** - ქალაქი რუსეთის მოსკოვის ოლქში.

**დედოვიჩი** - დაბა რუსეთის ფსკოვის ოლქში.

**დედოვსკი** - ქალაქი რუსეთის მოსკოვის ოლქში.

**დედოფალა** - 1) ბავშვის სათამაშო, ჩვეულებრივ გოგონების თავშესაქცევარი. 2) პატარა მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა, თრითინა, სინდიოფალა.

**დედოფალი** - 1) მეფის ცოლი. 2) მეფე ქალი. 3) იგივეა, რაც პატარძალი. 4) (საუბრ.) იგივე ჭადრაკის ფიგურა ლაზიერი.

**დედოფლისწყარო** (კომუნისტურ ეპოქაში - წითელწყარო) - რაიონული ცენტრი საქართველოში.

**დედულეთი** - დედის სამშობლო, დედის ნათესაობა.

**დედული** - 1) დედის ქონება, რომელზედაც მემკვიდრეობის უფლება აქვთ შვილებს. 2) იგივე დედულეთი.

**დედური** - დედის დამახასიათებელი.

**დედუქცია** - მსჯელობის ხერხი, ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა.

**დეე!** - იგივეა, რაც დაე!

**დეესკალაცია** - ესკალაციის საპირისპირო ცნება, აგრესიის, საომარ მოქმედებათა თანდათანობითი შეჩერება.

**დეეტერსი** გერჰარდტ ულრიხ ვოლდემარ - გერმანელი ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი და ქართველოლოგი (XX საუკუნე).

**დევა** - ქალაქი რუმინეთში, ჟუდეც ხუნედოარას ადმინისტრაციული ცენტრი.

**დევაგრიხა** - ინდუიზმში ტაძარი, რომელშიც იმყოფებოდა ღმერთის ქანდაკება.

**დე ვალერა** იმონ - ირლანდიის პრეზიდენტი 1959-73 წლებში.

**დევალვაცია** - ფულის რეფორმა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ გაუფასურებულ ფულის ნიშნებს იღებენ მიმოქცევიდან და ცვლიან სრულფასიანი საკრედიტო ბილეთებით.

**დევასტაცია** - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გამიზნულია ადამიანის, ცხოველების და მცენარეების ინვაზიურ და ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების მოსასპობად მათი განვითარების ყველა ფაზაში.

**დევაში** - ქედი ლენტეხის რაიონში.

**დევდარაკი** - მდინარე და მყინვარი ყაზბეგის რაიონში.

**დევადატა** - ბუდისტურ ლეგენდებში ცოლისძმა უფლისწულ სიდჰართხისა, რომელიც შემდგომ ბუდა გახდა.

**დევაერი** პატრიკ (ნამდვილი სახელი - ჟან მარი ბურდო) - ფრანგი კინომსახიობი (XX საუკუნე).

**დევალვაცია** - ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა სხვა რომელიმე უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

**დევალოკა** - ვედურ და ინდუისტურ მითოლოგიაში ღმერთების სამყარო.

**დევანაგირი** - ძველინდური მარცვლოვანი დამწერლობა, რასაც ახლაც იყენებენ ჩრდილოეთ ინდოეთში გავრცელებულ ენებში (მაგალითად, ჰინდი ენაში).

**დევაპუტრა** - ბუდისტურ მითოლოგიაში მეორეხარისხოვანი ღვთაებები ან მიწიერი ხელმწიფენი.

**დევასტაცია** - ორგანიზმში ჰელმინტოზების და სხვა დაავადებათა გამღიზიანებელთა განადგურების ღონისძიებათა კომპლექსი.

**დევატა** - ინდუისტურ მითოლოგიაში სოფლის ბინადართა მფარველი ღვთაება.

**დევგმირი** - დიდი ტანისა და ძალის მქონე, ბუმბერაზი, გოლიათი.

**დევდარიანი** იური - ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (XX საუკუნე).

**დევენაანთხევი** - სოფელი თიანეთის რაიონში.

**დევენპორტი** ჩარლზ - ამერიკელი გენეტიკოსი (1866-1944 წწ).

**დევენტერი** - ქალაქი ნიდერლანდში (ოვერეისელის პროვინცია).

**დევერა** - ახალშობილთა და მშობიარეთა ძველიტალიური ღვთაება.

**დევერსი** ჯეკობ ლუქს - ამერიკელი გენერალი, აშშ-ს სახმელეთო ჯარების სარდალი (XX საუკუნე).

**დევერხანა** - (კუთხ.) ძალიან დიდი, ვეება.

**დევეტი** კრისტიან რუდოლფ - ბურების პოლიტ. მოღვაწე, გენერალი (XIX-XX სს).

**დევი** - უზარმაზარი ზღაპრული არსება, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამოდენიმე თავის მქონე.

**დევი** - დავითის შემოკლებული ვარიანტი.

**დევი** 1) ჟაკ - ბელგიური წარმოშობის ფრანგი პოეტი (1941 წ). 2) იხილე *დეივი ჰ.*

**დევიაცია** - მოძრავი ობიექტის გადახრა დასახული მიმართულებიდან რაიმე შემთხვევითი გარეშე ძალების ზემოქმედებით.

**დევიდსონი** 1) ბეზილ - ინგლისელი მწერალი, მეცნიერი-აფრიკანისტი (1914 წ). 2) ბრიუს - ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი (1933 წ).

**დევიზები** - ანგარიშსწორების საშუალებანი (გადარიცხვები, ქვითრები, აკრედიტივები და სხვა) უცხოური ვალუტით.

**დევიზი** - 1) მოკლე გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს მოქმედების სახელმძღვანელო აზრს. 2) სიტყვა, რასაც ავტორი სახელის ნაცვლად აწერს თავის ქმნილებას კონკურსზე წარდგენისას. 3) ჰერალდიკაში მოკლე წარწერა ღერბზე.

**დევილი** შარლ - იხილე *სენტ-კლერ დევილი შ.ქ.*

**დევინი** ჯორჯ - ინგლისელი მსახიობი და რეჟისორი (XX საუკუნე).

**დევის** ტბა - კარსტული ტბა რაჭის ქედის სამხრეთი კალთის ძირში.

**დევისი** 1) ანჯელა - ანტისაომარი და შავკანიანთა მოძრაობის მონაწილე აშშ-ში (დაიბადა 1944 წელს). 2) ბეტ - იხილე *დეივისი ბ.* 3) გლენ - ამერიკელი სპორტსმენი, მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი 400 მეტრზე წინაღობით სირბილში (დაიბადა 1934 წელს). 4) მაილზ - ამერიკელი ჯაზმენი, მუსიკოსი, ჯაზის ბევრი მიმართულების სულისჩამდგმელი (1926-1991 წწ). 5) ჯეფერსონ - აშშ-საგან გამოყოფილი სამხრეთის მონათმფლობელური შტატების კონფედერაციის პრეზიდენტი; XIX საუკუნის აშშ-ს სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ინიციატორი. 6) ჯინა - ამერიკელი კინომსახიობი ქალი, ყოფილი მანეკენი (დაიბადა 1957 წ) ელს. 7) ჯუდი - ავსტრალიელ-ამერიკელი კინომსახიობი, XX საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული კინოვარსკვლავი (დაიბადა 1955 წელს).

**დევისის** თასი - ჩოგბურთის გუნდური ტურნირების გამარჯვებულთათვის დაწესებული ჯილდო.

**დევისონი** კლინტონ ჯოზეფ - იხილე *დეივისონი კ.ჯ.*

**დევისხვრელი** - ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი ხარაგაულის რაიონში.

**დევისპირა** - ბაღის დეკორატიული მცენარე ერთგვარი.

**დევიტი** მაიკლ - ირლანდიის რევოლუციონერ-დემოკრატი (XX საუკუნე).

**დე ვიტო** დენი - ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი (XX-XXI სს).

**დევკალიონი** - ძველ ბერძნულ მითოლოგიაში თესალიის ქალაქ ფთიას მეფე, პრომეთეს ვაჟი. მსოფლიო წყალდიდობის შემდეგ გადარჩენილი ერთადერთი ოჯახის მამა, ახალი თაობის ადამიანების წინაპარი.

**დევკაცი** - დიდი ტანისა და ღონის კაცი.

**დევკოტა** ლაქშმი პრასად - ნეპალელი პოეტი (XX საუკუნე).

**დევლეთ-გირეი** - ყირიმის ხანი, რუსეთზე თავდასხმების ორგანიზატორი (XVI საუკუნე).

**დევოლი** - ქალაქი ალბანეთში.

**დევონი** - კუნძული კანადის არქტიკულ არქიპელაგში.

**დევონის** პერიოდი - პალეოზოური ერის მესამე პერიოდი დედამიწის ისტორიაში.

**დევონპორტი** - ქალაქი დიდი ბრიტანეთის დევონშირის საგრაფოში.

**დევონშირი** - საგრაფო ინგლისში (დიდი ბრიტანეთი).

**დევრა** - სოფელი და მდინარე მესტიის რაიონში.

**დევრიენი** ალფრედ - შვეიცარული წარმოშობის რუსი წიგნის გამომცემელი (XIX-XX სს).

**დევრიენტი** ლუდვიგ - გერმანელი მსახიობი (XVIII -XIX სს).

**დევტერაგონისტი** - ძველ ბერძნულ ტრაგედიაში მეორე მსახიობი, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი.

**დეზაბილიე** - საშინაო ჩაცმულობა, საშინაო სამოსი.

**დეზავუირება** - ვისიმე განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება თავისი წარმომადგენლის, რწმუნებულის მოქმედებას.

**დეზამი** თეოდორ - ფრანგი უტოპისტი კომუნისტი (XIX საუკუნე).

**დეზარგი** ჟერარ - ფრანგი მათემატიკოსი, არქიტექტორი და ინჟინერი (XVII საუკუნე).

**დეზარკონერი** - ევროპული ცივი იარაღის სახეობა.

დ - 1014 სიტყვა

# ენციკლოპედიური ტესტი

მსოფლიო კინოს 100 ყველაზე გამოჩენილი ადამიანი ჰოლივუდის ოფიციალური სია. შეამოწმეთ თქვენი თავი - რამდენი მათგანის შესახებ გსმენიათ რამ.

1. Laurie Dickson
2. Edwin S. Porter
3. Charlie Chaplin
4. Mary Pickford
5. Orson Welles
6. Alfred Hitchcock
7. Walt Disney
8. D.W.Griffith
9. Will Hays
10. Thomas Edison
11. John Wayne
12. J.R. Bray
13. Billy Bitzer
14. Jesse Lasky
15. George Eastman
16. Sergei Eisenstein
17. Andre Bazin
18. Irving Thalberg
19. Thomas Ince
20. Marlon Brando
21. Louis B. Mayer
22. Greta Garbo
23. Robert Flaherty
24. Lon Chaney
25. Anita Loos
26. George Méliès
27. Adolph Zukor
28. John Gilbert
29. Max Fleischer
30. John Ford
31. William Fox
32. George Lucas
33. Linwood Gale Dunn
34. Eadweard Muybridge
35. Katharine Hepburn
36. Winsor McCay
37. Stanley Kubrick
38. Buster Keaton
39. James Agee
40. Fritz Lang
41. Marcus Loew
42. Cedric Gibbons
43. James Cagney
44. Ben Hecht
45. Ingmar Bergman
46. Humphrey Bogart
47. Leon Schlesinger
48. Louella Parsons
49. Roger Corman
50. Edith Head
51. Bernard Herrmann
52. Gary Cooper
53. Mike Todd
54. Ernst Lubitsch
55. Sidney Poitier
56. Saul Bass
57. Billy Wilder
58. Bette Davis
59. Erich Von Stroheim
60. Max Factor
61. Lumière Bros.
62. Woody Allen
63. Clark Gable
64. David O Selznick
65. Gregg Toland
66. Lillian Gish
67. William C. Menzies
68. Lucille Ball
69. Samuel Rothafel
70. Akira Kurosawa
71. Marilyn Monroe
72. Vittorio de Sica
73. Natalie Kalmus
74. Siskel & Ebert
75. Willis O'Brien
76. Shirley Temple
77. Yakima Canutt
78. Sam Peckinpah
79. Jackie Coogan
80. Federico Fellini
81. Leni Riefenstahl
82. Steven Spielberg
83. Sam Warner
84. Jean-Luc Godard
85. Robert De Niro
86. Fred Astaire
87. Francis Ford Coppola
88. Ted Turner
89. Clint Eastwood
90. Dalton Trumbo
91. Dennis Hopper
92. Richard Hollingshead
93. Melvin Van Peebles
94. John Chambers
95. Mack Sennett
96. Martin Scorsese
97. Karl Struss
98. Busby Berkeley
99. John Hubley
100. John Cassavetes

## ამავე ნომრის რეიტინგის პასუხები

1. ბასკეთი. 2. ალღო. 3. კაბარე. 4. უკუგება. 5. კოფო. 6. გოროზი. 7. ბენგალია. 8. ინდიელი. 9. ბროდვეი. 10. ვირილიზმი. 11. ნალები. 12. პრეფერანსი. 13. თალაგვა. 14. არმანდო. 15. აზდაკი. 16. კლეისტოგამია. 17. არქონტი. 18. ლელა. 19. კათედრა. 20. ხიდი. 21. მტილი. 22. ახმადულინა. 23. ლისტევი. 24. ბოსხი. 25. ჭანჭიკი. 26. ბამბა. 27. მიტერანი. 28. არტელი. 29. კასტრაცია. 30. კუნძი. 31. მიდია. 32. ჭიგო. 33. ბულბა. 34. პუდელი. 35. აკრი. 36. ხაჭო. 37. კამიკაძე. 38. მარიჯანი. 39. ბაქია. 40. დეკორაცია.

ინდივიდუალური საწარმო ნატალია
ბერიკიშვილი („ფანტაზია-2000“)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს
რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: **79-53-70,**
**(877) 45-19-80, (877) 72-61-18**
გაზეთი გამოდის ალექსანდრე და ვახტანგ
ელერდაშვილების რედაქტორობით
**E-Mail: sashiko45@hotmail.com**

# გასული ნომრის პასუხები

### პირველი გვერდი

თარაზულად: 1. მარენგო. 7. ტვენტე. 10. რიორიტა. 12. სიგურნი. 13. ბომარშე. 14. გავლენა. 15. აბეზარა. 16. კორსარი. 17. მაგნეტო. 18. ადიდასი. 22. ვოლიერი. 23. პამირი. 26. მანგლისი. 27. ბადიში. 30. კორუნდი. 31. მეტაფორა. 32. ლენონი. 33. პროფანი. 34. კალიბანი. 38. კოელიო. 39. ბიბისი. 42. დეტრევილი. 43. ჰიგია. 46. კოკარდა. 47. ფანფარონი. 48. ვენდი. 49. ნინევია. 50. მისისიპი. 51. იქიცა.

შვეულად: 1. მუსტაფა. 2. რეგრესი. 3. ნირვანა. 4. ორიგამი. 5. ნორვეგია. 6. ხიმენესი. 7. ტაბაკოვი. 8. ესმერალდა. 9. ტარტარენი. 11. დენიკინი. 19. დიადემა. 20. დუგლასი. 21. სპინოზა. 23. პიკაპი. 24. მარიოტი. 25. რენუარი. 27. ბილიკი. 28. დანტესი. 29. შინდისი. 34. კადაფი. 35. ლატანცი. 36. ბრეტანი. 37. ნეილონი. 39. ბიკინი. 40. ბეკინა. 41. სეროვი. 43. ჰავაი. 44. გენკი. 45. აფიშა.

### მესამე გვერდი

თარაზულად: 1. კარაქი. 4. თეკერეი. 7. ისიგაკი. 13. კანცლერი. 14. ამბროსი. 15. ქაცვია. 18. მილილიტრი. 19. ამორტიზატორი. 22. სპენდიაროვი. 23. ჭინკა. 27. კეცი. 28. არნოლდი. 29. ლეგიონერი. 33. ლიდელი. 34. ლოენგრინი. 35. ალდაგი. 38. ნეფროლოგია. 39. საძვალე. 40. რიყე. 43. მალიორკა. 44. გეიმი. 45. ანარეკლი. 48. ანჯეი. 49. პუატუ. 50. კანკალი. 55. ტრაიანე. 56. რეალი. 57. სტელა. 62. კვაი. 63. გოლკიპერი. 64. კვარტალი. 67. ტრანსპორტირი. 68. ფესვი. 69. ოხრა. 72. ჰიგია. 73. სტატუსი. 74. ბიანკა. 78. ციალი. 79. ნაცვალი. 80. სადკო. 85. ანტივირუსი. 86. ინტერფერონი. 89. გურუ. 90. დავლური. 91. სტარგოროდი. 92. მარადია. 93. გალატეა. 94. ტიტანი.

შვეულად: 1. კეკე. 2. რანტიე. 3. ქალკიოპე. 5. ელმა. 6. ეფრემოვი. 8. გუადალკანალი. 9. კოვბოი. 10. ბრაიტნერი. 11. ასტრა. 12. ბაზიერი. 16. ორნითოლოგია. 17. ჭირიმია. 20. ჰერკულანუმი. 21. ფრიდონი. 24. აციდოფილინი. 25. ლეონოვი. 26. არმანიაკი. 30. ფლუორომეტრი. 31. ორგაზმი. 32. ტიბერიუსი. 36. ტოსკა. 37. კლინიკა. 41. სექტა. 42. პროლეტარი. 46. ტურნიკეტი. 47. ზაალი. 51. მუშკეტონი. 52. მიკოლოგია. 53. კევრი. 54. ალმასხანი. 58. პალაუ. 59. აპერიტივი. 60. ყვავი. 61. ნილაკანტა. 65. მსტისლავი. 66. ფერსო. 70. ეტალონი. 71. პინკერტონი. 75. ცისტერნა. 76. სამსალა. 77. შამფური. 81. მარგო. 82. ორლანი. 83. მეეტლე. 84. ანგოლა. 87. არფა. 88. ქიდი.

### მეოთხე-მეხუთე გვერდი

თარაზულად: 1. ჭყონდიდი. 5. ქონდაქარი. 9. ნაბარხნუგი. 16. ბლენდამედი. 17. ბრალმდებელი. 18. აპნისი. 21. რაბი. 22. ანჩისხატი. 23. ტაშისკარი. 24. ამწე. 28. იცხაკი. 29. ბნედა. 30. ჰომილია. 31. ხაჩინჩაი. 35. ურმია. 36. ტრირემი. 37. ანჰესტამენა. 42. სიასამური. 43. რევლონი. 44. დვალეთი. 49. აფტაბი. 50. ყიზლარი. 51. ქუთაისი. 52. ჩეროკი. 56. იაკი. 57. მუშმულა. 58. ჰექტორი. 59. გამბუზია. 63. კაპულეტი. 64. აირონსი. 65. აბრაზია. 66. ანუი. 70. როსტანი. 71. ცრემლად. 72. ქარსალა. 77. ჰემოგლობინი. 78. არტემისია. 79. ნივეა. 84. ოვაცია. 85. აივენჰო. 86. ოფორტისტი. 87. ეტნა. 91. ფლაგმანი. 92. პლუტოკრატია. 93. ტრილიონი. 96. ტუია. 97. გრეჩანინოვი. 98. ეფენბერგი. 102. უმწეო. 103. შკივი. 104. ირიბარენი. 105. არღუნი. 110. ტაივანი. 111. კვადრანტი. 112. სარჩელი. 117. კრეშენდო. 118. ჩოსონ. 119. ეტა. 120. დიუკი. 121. მტლე. 126. ლიცენციატი. 127. ძივოუ. 128. ეჯაბუასტი. 132. შოლი. 133. ლიოტარი. 134. ჯადვარი. 135. სილამაზე. 139. იბუპრომი. 140. ნორმანდია. 141. ამენჰოტეპი. 142. ილირია. 143. პორივაი. 144. სიდონია. 145. ყირიმი.

შვეულად: 1. ჭუბურხინჯი. 2. ოფენბახი. 3. დოდი. 4. დემონი. 6. დვრიტა. 7. ქულა. 8. რადიაცია. 10. აფლეკი. 11. ხაპი. 12. უჩინმაჩინი. 13. იფიგენია. 14. ადრიანე. 15. ობსიდიანი. 19. მხედარი. 20. ქრუანტელი. 25. სკაროსები. 26. ნორმალი. 27. პირმოთნეობა. 32. ბირმა. 33. ორწევრი. 34. სერვისი. 38. ჩიხტიკოპი. 39. ერბიუმი. 40. ინცუხტი. 41. ტრაიბალიზმი. 45. ჰამილკარი. 46. ალილუია. 47. იასრიბი. 48. მომზენი. 53. მულტატული. 54. სევსამორა. 55. დარიოსი. 60. ალკოჰოლიზმი. 61. კობრა. 62. კამარილია. 67. უნებლიე. 68. ბატერფლაი. 69. ოლკინ. 73. სეპარატიზმი. 74. ინტერლინგვა. 75. მიკროინფარქტი. 76. პელტროუ. 80. კონფეტი. 81. ბჰუტანი. 82. სტარლეი. 83. ლატიმერია. 88. ენგრი. 89. სკოვოროდა. 90. გლიგორიჩი. 94. აჩაკუნე. 95. ინინი. 99. დელა სერნა. 100. აბლაუტი. 101. ცუღლუტი. 106. ფხიკელაშვილი. 107. კვადრივიუმი. 108. ევდოკია. 109. პანკრატიონი. 113. ბერცელიუსი. 114. ბოა. 115. ნიობე. 116. ცესარევიჩი. 122. შტატი. 123. ბოგარნე. 124. უჯერი. 125. სტრაბონი. 129. არგონი. 130. ცვეიგი. 131. ზადენი. 136. ორლი. 137. ზმნა. 138. ამტი.



### საჩემპიონატო კროსვორდები





### იაპონელი მხატვრების კონკურსი მეორე ტურის პასუხები





პირველ ნახატზე მარცხენა გუგასაც ხედვთ და მის კოორდინაებსაც, მეორეზე კი, როგორც ხედავთ, მაიმუნი ერთი წლისაა (მის მაიმუნობას კუდი ადასტურებს), მელია კი ორი წლის.

**ორი ტურის შემდეგ:**

24 ქულა: ქეთინო ნინოშვილი.

22 ქულა: შალვა ასპანიძე, ზიზი ბუბაშვილი.

20 ქულა: გივი კაპანაძე.

18 ქულა: ზურა სესიტაშვილი, ნონა საჯაია.

17 ქულა: გია ნარინდოშვილი, ეკა ჩალაძე, ლალი ჩიგოგიძე, გია საბაშვილი.

16 ქულა: სოსო გაგნიძე.

10 ქულა: დათო ხარაზიშვილი.

9 ქულა: მიხეილ ბერიკაშვილი.

6 ქულა: კობა დალაქიშვილი.



| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 12 | 28 | 23 | 6 | 17 | 11 | 22 | 31 | 16 |
| მ | ნ | ო | პ | ჟ | რ | ს | ტ | უ | ფ | ქ |
| 4 | 29 | 2 | 27 | 24 | 7 | 18 | 10 | 21 | 32 | 15 |
| ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ |
| 3 | 30 | 13 | 26 | 25 | 8 | 19 | 9 | 20 | 33 | 14 |







# ვოკალური ფოტო კროსვორდი






| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 1 ლ | 8 | 7 | 4 | | 5 | 8 | 21 | 18 | 9 | 10 | 9 | 1 | 9 | |
| 5 | | 2 უ | | 8 | | 29 | | | | 8 | | 8 | | 6 | | 30 |
| 20 | 4 | 3 წ | 5 | 4 | 17 | 24 | 6 | | 18 | 1 | 4 | 21 | 4 | 17 | 13 | 4 |
| 13 | | 4 ი | | 24 | | 8 | | 18 | | 8 | | 9 | | 8 | | 23 |
| 8 | | | 25 | 8 | 2 | | 5 | 8 | 21 | 31 | 8 | 1 | 4 | | | 4 |
| 26 | | 22 | | 21 | | 18 | | 17 | | 17 | | 4 | | 5 | | 21 |
| 20 | 23 | 9 | 5 | 8 | 23 | 9 | 1 | 9 | 13 | 4 | 8 | | 11 | 6 | 1 | 6 |
| 6 | | 19 | | 12 | | 28 | | 6 | | 18 | | 16 | | 15 | | 18 |
| 12 | 21 | 8 | 5 | 8 | 17 | 23 | 6 | | 14 | 9 | 14 | 9 | 28 | 6 | 33 | 4 |
| 8 | | 18 | | 24 | | 8 | | | | 26 | | 5 | | 15 | | 8 |
| | 32 | 4 | 32 | 4 | 8 | | 24 | 6 | 19 | 4 | 17 | 4 | 27 | 4 | 8 | |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ | მ | ნ | ო | პ | ჟ | რ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 4 | | 1 | | | | | | |

| ს | ტ | უ | ფ | ქ | ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ | ?! |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | | | | | | | | 3 | | | | | |



16152588952 **ჩასვით ეს ციფრები თავთავის ადგილზე** 3505685 7532912

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | 128 | 716 | 3127 | 28955 | 55753 | | 20993955 |
| 52 | 189 | 850 | 3818 | 38192 | 58978 | 287415 | 58888058 |
| 56 | 357 | 888 | 4567 | 45558 | 95168 | 752017 | 58945655 |
| 58 | 458 | 958 | 5144 | 47888 | 99432 | 921754 | 189315897 |



**მოცემული არეული სიტყვებით აღადგინეთ კროსვორდი**

1. აეიითლრძწ
2. ეეილქხ
3. აეეუბვლწ
4. აოთრ
5. აეილრტ
6. აინყწ
7. ეორწ
8. ააააუვგკტ
9. აააიუბბძრ
10. აეეიივზლტ
11. აეეოოუბკლმნრ
12. ებგრ
13. ააიიდნსტ
14. ეიილტხ
15. ააიოონტ
16. აეილრტ
17. იოუმრხ
18. იობრტ
19. ააიოვკსძ
20. ელმტ
21. იოლჯ
22. აეიიოუდკლმრტ
23. აეეიიპრტც
24. ააიბჭ